ოქმი:**ო63. 6325223001**
თარიღი:**11/08/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 8

ქ. სამტრედია. 1 აგვისტო, 2025 წელი.

2025 წლის 1 აგვისტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, როლანდ ეცადეიშვილი, ალექსანდრე ალფაიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე.

2. ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს ხელმძღვანელი, იზაბელა ლეგაშვილი. ბუღლატერი, ლელა ნიკურაძე.

3. ა(ა)იპ „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს წარმომადგენელი, კობა მანჯგალაძე.

4. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს ბუღალტერი, ნონა ქორიძე.

5. ა(ა)იპ ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“- ს ხელმძღვანელი გიორგი ხელისუფალი.

6. ა(ა)იპ ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ხელმძღვანელი, გურამ ხუჭუა.

7. ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს** ბუღალტერი, რუსუდან ნიკურაძე.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. დაგეგმვის განყოფილების მესამე რანგის უფროსი სპეციალისტი, მაკა სეხნიაშვილი.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.

10. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

11. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში - თამილა კეკელიძე.

12. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე/

13. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ,,მინდა ავღნიშნო და შევეხო იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში გამოცხადდა საარჩევნო კამპანია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით. ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კამპანიის მთავარი კანდიდატი წარადგინა ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა დედაქალაქში. ვფიქრობ, რომ ყველასათვის საამაყოა და ძალიან კარგია, რომ წარმოშობით სამტრედიელი, ნამდვილი ქართველი, პატრიოტი, ქართული ტრადიციების მოყვარული ღირსეული ქართველი, შრომისმოყვარე, პასუხისმგებელი ადამიანი იქნება ჩვენი დედაქალაქის მერობის კანდიდატი. წარმატებები მინდა ვუსურვოთ ბატონ კახა კალაძეს''.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს** 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435911განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს** 2025 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632435912 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **„საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632435919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

4. **,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს** მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2025 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632435925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"-** ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, **,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს** 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

7. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების** გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ", 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, ლ.კრავეიშვილი/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" -ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 63243593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტი საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

9. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დაზუსტების** შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტი საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

10. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის **6 თვის შესრულების** მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტი საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

11. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტი საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

12. **სხვადასხვა.**

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს** 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435911განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 ივლისის*** NN62-622521172 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,**მოსწავლე- ახალგაზრდობის** სახლი''-ს 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2025 წლის სუბსიდიის გეგმა მცირდება 25.0 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბიუჯეტში, დაგეგმილი იყო არაფინანსური აქტივების გეგმა 25.0 ათ.ლარი, შიდა სარემონტო სამუშაოებისათვის, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად. სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება დაფინანსება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობის გარე ფასადისა და სარემონტო სამუშაოებისათვის. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არაფინანსური აქტივების გეგმა მცირდება 25.0 ათ.ლარით, რომელიც გამოყენებული იქნება შეხედულებისამებრ.

საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს** 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435911განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2025 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632435912 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 ივლისის*** N N62-622521173 წერილობითი მომართვა, რომლის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის **„საბიბლიოთეკო გაერთიანება"-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, 2025 წლის ბიუჯეტში ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. შრომის ანაზღაურების მუხლში, არსებული ეკონომიის საფუძველზე, თანხა მცირდება 8.7 ათ.ლარით, შესაბამისად საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 8.7 ათ.ლარით (ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში შემავალი ღახირის სასოფლო ბიბლიოთეკისათვის საჭირო საოფისე ავეჯის შესაძენად).

საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს** 2025 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435912 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **„საფრენბურთო კლუბი - ჯიკო"-ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ" , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632435919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 ივლისის*** N62-622521171 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის **,,საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 55.0 ათ.ლარით; სხვა ხარჯის მუხლში 25.0 ათ.ლარით, სულ 80.0 ათ.ლარით. შესაბამისად, არაფინანსური აქტივი, არასაცხოვრებელი შენობების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება (სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად) 80.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **„საფრენბურთო კლუბი - ჯიკო"-ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ" , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, **,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს** მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2025 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №63. 632435925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 ივლისის*** N 62-622521170 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, **შპს სპორტული კომპლექსი „სამტრედია“-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში შესატან ცვლილებას. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევ ხარჯებში, სოციალური უზრუნველყოფის მუხლში თანხა მცირდება 3.3 ათ.ლარით. შესაბამისად, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 3.3 ათ.ლარით. საკუთარი შემოსავლით გასაწევ ხარჯებში, სოციალური უზრუნველყოფის მუხლში თანხა მცირდება 1.3 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლში 5.0 ათ.ლარით, შესაბამისად, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 6.3 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, **,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს** მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2025 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №63. 632435925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-** ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №63.632435922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 ივლისის N 62-622521169 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,**ხელბურთელთა კლუბი-** სამტრედია''-ს 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში შესატან ცვლილებას. 2025 წლის საკუთარი შემოსავლების გეგმა იზრდება 50.0 ათ.ლარით. აქედან, ხარჯებში საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 20.0 ათ.ლარით და სხვა ხარჯის მუხლში 30.0 ათ.ლარით. ზემოთ აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია კაცთა სახელბურთო კლუბების ხელშეწყობის პროგრამის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის 02.07.2025 წლის N11 პრეზიდიუმის სხდომის ოქმით, რომლის თანახმად უნდა მოხდეს კლუბისთვის ეკიპირების შეძენა, სასწავლო-საწვრთნელი შეკრების დაფინანსება, სამივლინებო/სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის და ახალგაზრდა მოთამაშეთა სწავლის კომპენსაციის თანხის გადახდა.

საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-** ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, **,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს** 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 ივლისის N 62-622521167 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის **რაგბის კლუბი „ფენიქსი“-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. ხორციელდება 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა მცირდება 2.7 ათ.ლარით (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება); აღნიშნული თანხით იზრდება შრომის ანაზღაურების ფონდი 2.7 ათ.ლარით (თანამდებობრივი სარგო). ზუსტდება დანართი N5, რომელსაც ემატება ბავშვთა გუნდის განვითარების მიზნით მწვრთნელების რაოდენობა, სულ 6 პირი.

საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, **,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს** 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების** გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 ივლისის*** N62-622521165 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური**

დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“ (დანართი 1), შესატან ცვლილებებს. იზრდება სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯები - 40000 ლარით. კერძოდ, თანხა იზრდება მუხლი 14.-ში. ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 40 000 ლარით; (გაზრდილია ერთჯერად დახმარებებზე განცხადების რაოდენობა, ასევე გაიზარდა დამწვარ სახლზე შემოსული განცხადებების რაოდენობა).

საკითხი განიხილა საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების** გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 63243593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 ივლისის*** N62-622521168 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,**გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება’’-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში შესატან ცვლილებას. იზრდება 2025 წლის სუბსიდიის გეგმა 18.0 ათ.ლარით. კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 17.0 ათ.ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლში 1.0 ათ.ლარით, რომელიც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხრეშვითი სამუშაოების ჩასატარებლად. (არსებული ტექნიკა ვერ უზრუნველყოფს მაღალი ზონის სოფლებში მომსახურეობას, ასევე სტიქიიდან გამომდინარე დამატებით წარმოიშვა სხვადასხვა სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა).

საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 63243593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დაზუსტების** შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 21 ივლისის*** N62-622520297 და N62-6225202107 წერილობითი მომართვები, რომლებიც ეხება ინფორმაციას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დაზუსტების** შესახებ.

,,ზოგიერთი მუნიცპალიტეტის მიერ, განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის **N783 განკარგულებით,** სამტრედიის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება, რომ ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების მიზნით, გადაცემული თანხის ფარგლებში დარჩენილი ეკონომია 269898 ლარი მიმართოს ინფრასტრუქტურის დაფინანსების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე''- ქვეპუნქტის, ,,ე,ე''- ქვეპუნქტის , საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილების, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეიტს საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ბ.62.62251853 04/07/2025 ბრძანებით დაზუსტდა ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილება''. კერძოდ, შემცირდა (03 04 კოდი) კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა 269898 (ორასსამოცდაცხრაათასრვაასოთხმოცდათვრამეტი) ლარით და შესაბამისად, გაიზარდა (02 02 03 კოდი) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა 269898 (ორასსამოცდაცხრაათასრვაასოთხმოცდა თვრამეტი) ლარით.

- „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში შეტანილი 2025 წლის 10 ივლისის №1107 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გამოყოფილი თანხის ოდენობა 2 000 000 (ორი მილიონი) ლარით გაიზარდა და განესაზღვრა 2 600 000 (ორი მილიონ ექვსასი ათასი) ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის Nბ62. 62251969 15/07/2025 ბრძანებით, დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილება. კერძოდ, გაიზარდა (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური **აქტივების ზრდის გეგმა - 2 000 000 (ორი მილიონი)** ლარით.

საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო-საბიოუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დაზუსტების შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ,

საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის 6 თვის შესრულების** მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვა მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ასევე, მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას.

2025 წლის 1 იანვრისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა 5 356.5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არსებული ნაშთი შეადგენს 1 951.0 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 3 405.5 ათას ლარს.

2025 წლის 6 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 6,813.5 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 1,484.5 ათასი ლარი. ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების შესრულების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 24,193.0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20,101.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 83.1%.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 6 თვის გეგმა 23,927.0 ათასი ლარი, ფაქტიურად 19,630.3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 82.0% და მთლიანი - შემოსულობების 97.7% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 12,796.8 ათასი ლარი, რაც მიმდინარე პერიოდის გეგმის 87.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 11,040.8 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1,756.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 10,455.7 ათასი ლარი, რაც საანგარიშო პერიოდის გეგმის 83.2%-ს შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 9,217.7 ათასი ლარი) 1,238.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2,341.1 ათასი ლარი, რაც საანგარიშო პერიოდის გეგმის 112.8%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 518.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია 5,649.2 ათასი ლარი, მათ შორის: - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩარიცხულია - 560.8 ათასი ლარი; - კაპიტალური ტრანსფერი - 4,857.0 ათასი ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები); - სპეციალური ტრანსფერი - 231.4 ათასი ლარი

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 947.1 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1,184.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის

125.0%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 946.3 ათასი ლარი) შედარებით 0.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 470.7 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 199.8 ათასი ლარი (არასაცხოვრებელი შენობები) და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 270.9 ათასი ლარი.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ 2025 წლის 6 თვეში გადასახდელების შესრულების 69.6%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 6.2%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2024 წლის 6 თვესთან - 20,374.1 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 1,211.4 ათასი ლარით მეტი და შეადგენს 21,585.5 ათას ლარს.

2025 წლის გადასახდელები გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ 6 თვეში შეადგინა 31,006.5 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21,585.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 69.6%-ია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია პრიორიტეტები:1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00) ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 8,951.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 59.5 პროცენტია.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00) დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,722.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 65.6 პროცენტია.

3. განათლება (პროგრამული კოდი - 04 00) განათლება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3,026.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.7 პროცენტია.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3,117.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.1 პროცენტია.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2,044.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 70.5 პროცენტია.

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2,722.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 80.1 პროცენტია.

სარეზერვო ფონდი საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 123.0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 33.0 ათასი ლარი.

საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის 6 თვის შესრულების** მიმოხილვის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი,

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებაში შეტანილი 2025 წლის 24 ივლისის N1174 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები გაიზარდა 93.8 ათასი ლარით და 7,342.4 ათასი ლარით განესაზღვრა. მათ შორის, პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობის განკარგულებით, გაიზარდა 88.9 ათასი ლარით და შეადგენს - 6,969.6 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება გაიზარდა 4.9 ათასი ლარით და შეადგენს - 372.8 ათას ლარს. აქედან გამომდინარე შემცირდეს (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან - 0.2 ათასი ლარით, (კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით შემცირდეს - 0.5 ათასი ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 0.2 ათასი ლარით მოწესრიგდეს არსებული გეგმის ფარგლებში, ასევე, გაიზარდოს (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან - 89.6 ათასი ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 4.7 ათასი ლარით მოწესრიგდეს არსებული გეგმის ფარგლებში.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის N1098 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების შენობასა და სკოლის გარე ტერიტორიაზე შესასრულებელი მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განსახორციელებლად, საჭიროა დაახლოებით 185.0 ათასი ლარი (ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოხსენებით ბარათი N03-622521027 29/07/2025). აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს (04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა - 185.0 ათასი ლარით.

მიმდინარე პერიოდის გეგმა-ფაქტის ანალიზიდან გამომდინარე შემცირდეს სულ - 179.9 ათასი ლარით :

- (04 03 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 25.0 ათასი ლარი;
- (01 01 02 კოდი) სამტრედიის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 36.0 ათასი ლარით;
- (01 02 01 კოდი) სარეზერვო ფონდის სხვა ხარჯების გეგმა - 50.0 ათასი ლარით;
- (03 04 კოდი) კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 20.0 ათასი ლარით;
- (04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის

დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 5.0 ათასი ლარით;

- (6 01 02 კოდი) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტა-ციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 12.0 ათასი ლარი;
- (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 23.1 ათასი ლარით;
- (02 02 03 კოდი) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 8.8 ათასი ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს სულ - 179.9 ათასი ლარით :

- (06 02 04 კოდი) სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 40.0 ათასი ლარით;
- (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 10.0 ათასი ლარით;
- (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 10.0 ათასი ლარით;
- (კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 10.0 ათასი ლარით;
- (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა - 10.0 ათასი ლარით;
- (02 02 02 კოდი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურების გეგმა - 10.0 ათასი ლარით;
- (03 03 კოდი) დასუფთავების საქონელი და მომსახურების გეგმა - 40.0 ათასი ლარით;
- (03 02 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სუბსიდიის გეგმა- 17.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 1.0 ათასი ლარით;
- (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 31.9 ათასი ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- (05 01 02 03 კოდი) ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"-ს სუბსიდიის გეგმა- 80.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი